**ვამტკიცებ**

..........................

ვაჟა ჩხაიძე
შპს შატო შენენთო
ერთადერთი პარტნიორი
თბილისი, 2022 წლის 4 ნოემბერი

**ვამტკიცებ**

..........................

ვაჟა ჩხაიძე
შპს მცნობი
ერთადერთი პარტნიორი
თბილისი, 2022 წლის 4 ნოემბერი

# შპს შატო შენენთოს მიერ შპს მცნობის მიერთების

# გ ე გ მ ა

## 1. გარიგების საგანი, სამართლებრივი საფუძველი, მიზეზი

- **გარიგების საგანი:** ორი სამეწარმეო საზოგადოების შერწყმა, კერძოდ, მიერთება (შემდგომ' მიერთება').
- **გარიგების სამართლებრივი საფუძველი:** მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი (თავი VIII, მუხლი 59.1ბ); სამეწარმეო საზოგადოებების წესდებები; ერთადერთი პარტნიორების გადაწყვეტილებები.
- **გარიგების ეკონომიკური საფუძველი:** ორივე სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობა ცალ-ცალკე ეფუძნება ვაჟა ჩხაიძის გამოკვლევებს (ინოვაციებს) „ბუნებრივი ჰიგიენა" და „შენენთოს მევენახეობა-მეღვინეობა". აქედან, მეორე პროექტი მოიცავს პირველს. ამასთანავე, ორივე კომპანიის ერთადერთი პარტნიორი და ხელმძღვანელობა-წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის ვაჟა ჩხაიძე (პ/ნ 01024000371). აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ამ სამეწარმეო საზოგადოებების დამოუკიდებელი ფუნქციონირება ეკონომიკური საზრისით მიზანშეწონილი არ არის.

## 2. გარიგების მხარეები

**შემძენი სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ 'შემძენი')**

- შპს შატო შენენთო
- ს/ნ: 405550498
- საქმიანობის საგანი: ავთენტიკური მევენახეობა-მეღვინეობის სისტემური აღდგენა, ინოვაციური განვითარება და მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოება-რეალიზაცია; შენენთოს ონლაინ აკადემია — ქართული პურღვინისეული კულტურის საგანმანათლებლო ცენტრი.
- იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჩიქოვანის ქუჩა, #34, კომერციული ფართი.
- ერთადერთი პარტნიორი: ვაჟა ჩხაიძე (პ/ნ 01024000371)

**მიერთებული სამეწარმეო საზოგადოება (შემდგომ 'მიერთებული')**

- შპს მცნობი
- ს/ნ: 405223734
- საქმიანობის საგანი: ბუნებრივი ჰიგიენის პროდუქტების წარმოება, დისტრიბუცია, რეალიზაცია.
- იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ჩიქოვანის ქუჩა #34, კომერციული ფართი.
- ერთადერთი პარტნიორი: ვაჟა ჩხაიძე (პ/ნ 01024000371)

შპს შატო შენენთო: ..........................    შპს მცნობი: ..........................

## 3. მიერთებულის რეგისტრაციის გაუქმება და შემძენის ვალდებულებები

- მიერთებულის რეგისტრაცია უქმდება ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე.
- მიერთებულის აქტივები და ვალდებულებები სრულად გადაეცემა შემძენს.
- შემძენი პასუხს აგებს ყველა ვალდებულებისთვის, რომლებიც ჰქონდა მიერთებულს.

## 4. მიერთებულის ერთადერთი პარტნიორის წილის მოთხოვნა

- ორივე კომპანიის ერთადერთი პარტნიორი და ხელმძღვანელობა-წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის ვაჟა ჩხაიძე (პ/ნ 01024000371), რის გამოც წილის მოთხოვნისა და ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის საკითხები არ განიხილება.

## 5. მიერთების თარიღი

- შემძენის და მიერთებულის ბუღალტრული მიზნებისთვის მიერთების თარიღად მიიჩნევა მიერთების რეგისტრაციის თარიღი.

## 6. შემძენისთვის გადასაცემი აქტივები

- შპს მცნობის ონლაინ გაყიდვების საერთაშორისო ვებსაიტი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- ვაჟა ჩხაიძის გამოკვლევით „ბუნებრივი ჰიგიენა" სარგებლობის უფლება (ეს პუნქტი არ მოიცავს ვაჟა ჩხაიძის მეთოდით 100% ბუნებრივი ზეთისხილის მყარი და თხევადი საპნის წარმოების უფლებას, რაც ცალკე შეთანხმების საგანს წარმოადგენს).
- ბუნებრივი ჰიგიენის უცხოურ კომპანიებთან სალიცენზიო ექსკლუზივების შეთანხმებები.
- სასაპნე (კოდი AMS100): 17 ც x 40.00 ლ (საცალო ფასი) = 680.00 ლ.
- ზეთისხილის საპონი (კოდი SP100): 612 ც x 20.00 ლ (საცალო ფასი) = 12,240.00 ლ.
- ზეთისხილის საპნის სარეცხი ფანტელები (კოდი SP103): 211 ც x 40.00 ლ (საცალო ფასი) = 8,440.00 ლ.
- შესაფუთი მასალები (კოდები: SP400, SP401, SP402, SP500, SP501, SP502, SP600): ± 2500 ერთეული (შედის პროდუქტების ფასში).

## 7. შემძენისთვის გადასაცემი ვალდებულებები

- მიერთებულის მიერ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის"-გან აღებული გრძელვადიანი სესხი: 17,771.23 ლ (ყოველთვიური 592.40 ლ).
- შპს კონსაუდის მიერ მიერთებულისთვის გაწეული საბუღალტრო მომსახურების დავალიანება: 5,550.00 ლ
- მიერთებულის დამფუძნებელ ვაჟა ჩხაიძის შენატანების დავალიანება: 59,627.00 ლ.
- ვაჟა ჩხაიძისგან ნაქირავები ოფისის ქირის დავალიანება: 7,525.00 $ ექვივალენტი ლარში.
- ვაჟა ჩხაიძის გამოკვლევით „ბუნებრივი ჰიგიენა" სარგებლობის დავალიანება (ეს პუნქტი არ მოიცავს ვაჟა ჩხაიძის მეთოდით 100% ბუნებრივი ზეთისხილის მყარი და თხევადი საპნის წარმოების უფლებას, რაც ცალკე შეთანხმების საგანს წარმოადგენს): 5,000.00 $ ექვივალენტი ლარში.
- შემძენის და მიერთებულის ხელმძღვანელი პირების — ვაჟა ჩხაიძის, ნოშრევან ჩხაიძის და ეკა ყაჭიაშვილის მიერ მიერთებულისთვის შექმნილი ონლაინ გაყიდვების საერთაშორისო ორენოვანი ვებსაიტის შექმნის დავალიანება: 25,000.00 $ ექვივალენტი ლარში *(ნოშრევან ჩხაიძე $12,000.00, ვაჟა ჩხაიძე $9,000.00, ეკა ყაჭიაშვილი $4,000.00).*

———————

დავალიანების ჯამი: 37,525.00 $ + 65,177.00 ლ.

ბანკის მიმდინარე სესხი: 17,771.23 ლ (ყოველთვიური 592.40 ლ).

*შპს მატო მეჩენთო:* ....................    *შპს მცნობა:* ....................

## 8. შემძენის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება

- შემძენი აღებული ვალდებულებების შესრულებას დაიწყებს ნებისმიერი შემოსავლების მიღების პარალელურად.
- პრიორიტეტი: შპს კონსაუდის დავალიანების დაფარვა.

## 9. მიერთების გეგმის გამოქვეყნება და შეტყობინება

- მიერთების გეგმა გამოქვეყნებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საიტზე, აგრეთვე, შემძენის და მიერთებულის ოფიციალურ საიტებზე: https://www.chateaushenentho.com/ka და https://www.mtsnobi.com/ka
- შესაბამისი შეტყობინებები რამდენიმე თვით ადრე დაეგზავნათ შემძენისთვის გადასაცემ ვალდებულებებში (მუხლი 7) ჩამოთვლილ პირებს (კრედიტორებს).

## 10. შემძენის წესდების ცვლილება

- მიერთება შემძენის წესდების ცვლილებებს არ იწვევს.

## 11. მიერთების გეგმის დამტკიცება

- მიერთების გეგმას ამტკიცებენ გარიგებაში მონაწილე ორივე მხარის ერთადერთი პარტნიორები.

## 12. მიერთების რეგისტრაცია, მიერთებულის რეგისტრაციის გაუქმება, კრედიტორთა დაცვა

- მიერთების რეგისტრაციის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს გარიგების მხარეთა ერთადერთი პარტნიორების გადაწყვეტილებები და მათ მიერვე ერთობლივად დამტკიცებული მიერთების გეგმა.
- მიერთების რეგისტრაციასთან ერთად მიერთებულის რეგისტრაცია უქმდება.
- მიერთებაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების კრედიტორებს უფლება აქვთ, მიერთების რეგისტრაციიდან 3 (სამი) თვის ვადაში მოსთხოვონ სამეწარმეო საზოგადოებას მათი მოთხოვნების უზრუნველყოფა, თუ დაამტკიცებენ, რომ მიერთება საფრთხეს უქმნის ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. აღნიშნული უფლება აქვთ იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნებიც მიერთების შესახებ გადაწყვეტილების ან მიერთების გეგმის გამოქვეყნებამდე წარმოიშვა.

*შპს შატო შენეთი:* ...................... *შპს მწნობი:* ......................